

საზოგადოებრივი გამომცემლობა სა.გა.

ჯიბის წიგნის სერია 12

მედია – კულტურა – საზოგადოება

პიერ პაოლო პაზოლინი (1922-1975) – იტალიელი კინორეჟისორი, კრიტიკოსი, პოეტი და მწერალი. 1940-იან წლებში აქვეყნებს პირველ პოეტურ კრებულებს. 1957 წელს მუშაობს სცენარზე ფედერიკო ფელინის ფილმისთვის „კაბირიას ღამეები“, 1961 წელს კი ეკრანებზე გამოდის მისი პირველი ფილმი „აკატონე“. პაზოლინი იყო იტალიის კომუნისტური პარტიის წევრი, საიდანაც გარიცხეს „ჰომოსექსუალიზმის“ გამო. მიუხედავად ამისა, ის სიცოცხლის ბოლომდე ამ პარტიას დაუფარავად უჭერდა მხარს. ამავე დროს, იგი იყო რელიგიურად განწყობილი პიროვნება, თუმცა კათოლიციზმისა და ინსტიტუციური რელიგიების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდა. 1970-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, პრესაში უკვე ყოველკვირეულად აქვეყნებდა სტატიებს სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე. პაზოლინის შემოქმედებაში კრიტიკის და ანალიზის მთავარი საგანია ძალაუფლება და მისი რადიკალური ფორმები, რელიგია, ჰომოსექსუალობა, სოციალურად დაუცველი დაბალი ფენები და საზოგადოების მარგინალური ჯგუფები. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იგი თავის ნარკვევებში წერდა „პოსტფაშისტურ“ საზოგადოებაზე. პაზოლინის წინააღმდეგ მრავალჯერ აღიძრა საქმე. განსაკუთრებით სკანდალური აღმოჩნდა მისი უკანასკნელი ფილმი, მარკიზ დე სადის ნაწარმოების ეკრანიზაცია „სალო, ანუ სოდომის 120 დღე“ (1975), სადაც რეჟისორი ძალაუფლების რეპრესიულ მექანიზმებს და ადამიანის ბარბაროსული განადგურების მისწრაფებებს განიხილავს. პაზოლინი სასტიკად მოკლეს 1975 წლის 2 ნოემბერს ოსტიაში, რომთან ახლოს. მიუხედავად იმისა, რომ მკვლელი დააპატიმრეს, ეს დანაშაული დღემდე არ არის ბოლომდე გამოძიებული.

ლუთერული წერილები

პიერ პაოლო პაზოლინი

თბილისი, 2016

წიგნი იბეჭდება შემდეგი გამოცემის მიხედვით:

Pier Paolo Pasolini: "Lettere luterane", Garzanti Libri s.p.a., Milano, 2009

წიგნი გამოიცა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით.

წიგნი გამოიცა იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტროს თანადაფინანსებით. – Questo libro è stato tradotto grazie ad un contributo alla traduzione assegnato dal Ministero degli Affari Esteri e della Cooperazione Internazionale italiano.

პიერ პაოლო პაზოლინის საავტორო უფლებების მქონე მემკვიდრეების თავაზიანი ნებართვით.

ყდაზე გრაფიკა: პიერ პაოლო პაზოლინის
ავტოპორტრეტი, 1965 წელი

მთარგმნელები: ლაშა კალანდაძე
ხათუნა ცხადაძე
თათული წერეთელი

რედაქტორი: ხათუნა ცხადაძე

გამომცემელი: სოსო დუმბაძე

პირველი გამოცემა, 2016

ISBN 978-9941-0-8091-3

ყველა უფლება დაცულია



თბილისის მერია

© Pasolini Estate

© საზოგადოებრივი გამომცემლობა სა.გა., 2016

© Sa.Ga. Publishing for Society, 2016

www.sa-ga.org

სარჩევი

უბედური ახალგაზრდობა	9
თარგმანი: ლაშა კალანდაძე	

ჯენარიალო

პირველი პარაგრაფი: როგორი წარმომიდგენიხარ	22
თარგმანი: თათული წერეთელი	

მეორე პარაგრაფი:	26
როგორი უნდა წარმომიდგინო თარგმანი: თათული წერეთელი	

მესამე პარაგრაფი: ისევ შენი პედაგოგის შესახებ	31
თარგმანი: თათული წერეთელი	

მეოთხე პარაგრაფი: როგორ ვილაპარაკებთ	36
თარგმანი: თათული წერეთელი	

სამუშაო გეგმა	42
თარგმანი: თათული წერეთელი	

ფარდა იყო პირველი გაკვეთილი	46
თარგმანი: თათული წერეთელი	

მეექვსე პარაგრაფი: უძლურება საგანთა პედაგოგიური ენის წინაშე	51
თარგმანი: თათული წერეთელი	
უცხოები ვართ ერთმანეთისთვის: ამას ამბობენ ჩაის ფინჯნები	57
თარგმანი: თათული წერეთელი	
როგორ შეიცვალა საგანთა ენა	61
თარგმანი: თათული წერეთელი	
ბოლონია, კონსუმერისტული და კომუნისტური ქალაქი	66
თარგმანი: თათული წერეთელი	
ახალგაზრდები ორმაგად კონფორმისტები არიან	71
თარგმანი: თათული წერეთელი	
ცოცხლობენ, თუმცა მკვდრები უნდა იყვნენ	76
თარგმანი: თათული წერეთელი	
ლამაზები ვართ, მაშ, მოდით, დავმახინჯდეთ	81
თარგმანი: თათული წერეთელი	
ღვთისმშობლები აღარ ტირიან	86
თარგმანი: თათული წერეთელი	

ლუთერული წერილები

სიცოცხლის ტრილოგიის უარყოფა 94
თარგმანი: ლაშა კალანდაძე

პანელა და უთანხმოება 102
თარგმანი: ლაშა კალანდაძე

**ნარკოტიკები –
ნამდვილი იტალიური ტრაგედია** 114
თარგმანი: ლაშა კალანდაძე

სასახლის მიღმა 124
თარგმანი: ლაშა კალანდაძე

სიუჟეტი ფილმისთვის პოლიციელის შესახებ 135
თარგმანი: ლაშა კალანდაძე

**ქრისტიან-დემოკრატთა ლიდერები
უნდა გავასამართლოთ** 147
თარგმანი: ლაშა კალანდაძე

სასამართლო პროცესი 159
თარგმანი: ლაშა კალანდაძე

პასუხები 175
თარგმანი: ლაშა კალანდაძე

**„თქვენი ინტერვიუ ადასტურებს, რომ
სასამართლო პროცესი აუცილებელია“** ... 185
თარგმანი: ლაშა კალანდაძე

დონატ-კატინიც გავასამართლოთ	195
თარგმანი: ხათუნა ცხადაძე	
რატომ სასამართლო?	205
თარგმანი: ლაშა კალანდაძე	
ჩემი „აკატონე“ ტელევიზორში, გენოციდის შემდეგ	216
თარგმანი: ლაშა კალანდაძე	
როგორები არიან სერიოზული ადამიანები? ..	227
თარგმანი: ხათუნა ცხადაძე	
ორი მოკრძალებული შემოთავაზება იტალიაში კრიმინალის აღმოსაფხვრელად ..	236
თარგმანი: ლაშა კალანდაძე	
რას გთავაზობთ სკოლისა და ტელევიზიისთვის ..	246
თარგმანი: ლაშა კალანდაძე	
ლუთერული წერილი იტალო კალვინოს ...	256
თარგმანი: ლაშა კალანდაძე	
მოსხენება „რადიკალთა პარტიის“ ყრილობაზე ..	266
თარგმანი: ლაშა კალანდაძე	
დანართი	283
თარგმანი: ხათუნა ცხადაძე	

უბედური ახალგაზრდობა

ბერძნული ტრაგედიის ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი თემა ბედისწერაა, რომლის მიხედვითაც შვილებს მამების ცოდვები მოეკითხებათ. მნიშვნელობა არა აქვს, ეს შვილები კარგები, უდანაშაულოები, ღვთისმოსავეები არიან თუ არა: თუ მამებმა შესცოდეს, პასუხი მათ უნდა აგონ.

ესაა ქორო, დემოკრატიული ქორო, რომელიც ამ ჭეშმარიტების მეურვეობას იჩემებს და იმდენად ბუნებრივად მიიჩნევს მას, რომ ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და ხილული მაგალითის გარეშე გამოთქვამს.

ვალთარებ, ბერძნული თეატრის ეს თემა ყოველთვის ისეთ მოვლენად მიმაჩნდა, რომელსაც ჩემი ცნობიერების მიღმა, სადღაც „სხვაგან“ და „სხვა დროში“ ჰქონდა ადგილი მიჩენილი. გარკვეული სქოლასტიკური გულუბრყვილობის გამო, თავისთავად ამ თემასაც აბსურდად და გულუბრყვილობად, ერთგვარ „ანთროპოლოგიურ“ გულუბრყვილობად მივიჩნევდი.

მაგრამ შემდეგ დადგა დრო, როცა მომიწია, მეღიარებინა, რომ თავად ვეკუთვნოდი მამების თაობას. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო, რადგან ბავშვები არა მხოლოდ დაიბადნენ და წამოიზარდნენ, არამედ მოწიფულობის ასაკსაც მიაღწიეს და ის

გარდაუვალი თუ წინასწარგანსაზღვრული ბედის-
წერა მათ ნელ-ნელა ზრდასრულებად აყალიბებს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ შვი-
ლებს გულდასმით ვაკვირდებოდი და ჩემი საბო-
ლოო დასკვნა, რომელიც თავადაც უსამართლოდ
და უღმობლად მეჩვენება, საბრალდებოა. ვცდი-
ლობდი, გამეგო, თავი მომეკატუნებინა, თითქოს
ვერაფერი გავიგე, გამონაკლისებს დავერდნო-
ბოდი, ვიტოვებდი ცვლილების იმედს, ვცდილობ-
დი, მათი რეალობა ისტორიულად – ანუ „კეთილი-
სა“ და „ბოროტის“ სუბიექტური კატეგორიების
მიღმა – განმესაჯა, მაგრამ ამაოდ. გვრძნობ მათ
ბრალეულობას. გრძნობების შეცვლა არ შეიძლე-
ბა: გრძნობები ისტორიულია. გრძნობა ისაა, რა-
საც რეალურად განვიცდით (რაც არ უნდა არა-
გულწრფელები ვიყოთ საკუთარ თავთან). და
დღეს, 1975 წლის დასაწყისში, ვიმეორებ, რომ ჩემი
გრძნობა ესაა: ბრალს ვდებ მათ. თუმცა, „ბრალდე-
ბა“, სავარაუდოდ, არასწორი სიტყვაა (ის, ალბათ,
დასაწყისში, ბერძნული თეატრის ლინგვისტურ
კონტექსტთან პარალელმა მიკარნახა), ამიტომ
განვმარტავ: ჩემს გრძნობას შეიძლება „გადაყვა-
რება“ ვუნოდოთ, რაც იწვევს არა „სიძულვილს“,
არამედ სწორედაც რომ „დადანაშაულებას“.

ჩემი საყვედური შვილების მიმართ რაღაც დი-
დი, ზოგადი და ბუნდოვანია, რაღაც, რაც სიტყვიერად
ვერც აიხსნება: ის ირაციონალურად მჟღავნდება
ჩემს არსებობასა და „გრძნობებში“. და რადგან
მე – იდეალური მამა, ისტორიული მამა – ვადანა-

შაულებ შვილებს, შესაბამისად, გარკვეულწილად მათი დასჯის იდეასაც ვიზიარებ.

ამრიგად, ცხოვრებაში პირველად, უაღრესად ინტიმური და პირადი პროცესების გზით, ვახერხებ, საკუთარ ცნობიერებაში დაფუძვნი ათენური ქოროს ის შემზარავი ბედისწერა, რომელიც „შვილების დასჯას“ ბუნებრივად მიიჩნევს.

ოღონდ, ეს ქორო, მეხსიერებანართმეული სიბრძნით შეიარაღებული, იმასაც ამატებდა, რომ შვილები „მამათა ცოდვის“ გამო ისჯებიან.

უყოყმანოდ ავიღებ ამ ცოდვებს საკუთარ თავზე. თუ მე ვადანაშაულებ შვილებს (მათი გადაყვარების გამო) და, მაშასადამე, მათ დასჯასაც ვემხრობი, ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს ყველაფერი, ჩემი, როგორც მამის, ბრალია; როგორც ერთერთი მამის, რომელიც პასუხისმგებელია ჯერ ფაშიზმზე, შემდეგ ვითომდემოკრატიულ კლერიკალურ-ფაშისტურ რეჟიმზე, რომელიც ბოლოს ძალაუფლების ახალ ფორმას, სამომხმარებლო ძალაუფლებას, საბოლოო განადგურებას, კრახს შეეგუა.

მაშ, „ფაშიზმია“ მამათა ის დანაშაული (გნებავთ ძველებური, გნებავთ სრულიად ახლებური ფორმის ფაშიზმი, რომელსაც წარსულში ანალოგი არ მოეძებნება), რის გამოც პასუხი უნდა აგონ შვილებმა?

მიჭირს, „დანაშაულად“ მაინცდამაინც ეს მივიჩნიო, ალბათ, ისევ და ისევ პირადული და სუბიექტური მოსაზრებების გამო. პირადად მე

დაწვრილი

I.

მამა, ეშმაკის ანგელოზი ვნახეთ,
ბლუკუნებდა, როგორც ჩვენი ნუნციო ინოჩენტი...
ბა-ბა-ბავშვებო, გა-ა-ა-ი-ღვიძე-ე-თ რა-ააა-ას
ელოო-ო-ოდებიტო?

უ-უ-უნდა გა-ა-იფიცო-ო-ოთ! დრო-ო-ო-ზე!
დროოო-ზეო!

ხვა-ა-ლ თო-თორმე-ე-ტზე უ-უნდა გაიფი-ი-
ცოთო!

ე-ე-ეშმა-ა-კმა მი-ითხრა, რო-ომ თქვეე-ნთვი-
ი-ის მე-ე-თქვა

გე-ე-ე-ეყოთ ამდენი მო-ო-თმე-ე-ნა, ჯანდა-ა-აბა
თქვეე-ე-ენს თაა-ვსო!

მ-მ-მ-ო-რჩა, ამ-მ-მდე-ენი მო-ო-ოთმენა! მო-ო-
ო-ი-ითხოვო-ე-ე-თ

და-ა-ა-გემორჩი-ი-ლონ, რო-რო-როგორც მა-ა-ა-
ა-ამათქვენე-ე-ე-ბსო!

მამა, აღარ გვინდა ჰედონი, გვინდა

აგაპე, აღარ გვინდა სიკეთე, გვინდა სიავე...
როზგი, მამა, როზგი, გთხოვ, როზგი მოიტა,
მამა, ცოტა როზგი, სულ ცოტა მაინც გამოიმეტე!

II.

მასწავლებლო, ანგელოზის ეშმაკი ვნახეთ,
შავი, როგორც ლუჩიანო ო'სარჩინო:
ბენჯამინ სპოკს ადიდებთო, გვეუბნებოდა.
როცა როზგია საჭიროო! გვეყო აგაპე, გვინდა
ანანკე.

აღარ გვინდა, ვიყოთ სერიოზულები,
ან კმაყოფილები, ან კრიმინალები, ან ნერვიულები,
გვინდა, ვიცინოთ, უდარდელად, რაღაცას ველო-
დეთ,
რაღაცას ვითხოვდეთ, რაღაც არ ვიცოდეთ.

არ გვინდა, ვიყოთ თავდაჯერებულები.
არ გვინდა, ვიყოთ უოცნებონი.
გაფიცვა, გაფიცვა, ამხანაგებო! გვახსოვდეს ჩვენი
ვალდებულებები.

მასწავლებლო, ნულარ გვექცევი სულელებივით,
რომლებსაც არ უნდა აწყენინო, გული არ ატკინო,
არც უნდა შეეხო.
ნუ გვათაყვანებ, ჩვენც ადამიანები ვართ,
პატივცემულო მასწავლებლო!

III.

უფროსებო, მამებო, ბატონებო: I) ყველაზე სათაყვანებლები

ისინი არიან, ვინც არც კი იცის, რომ რამის უფლება აქვს ქვეყანაზე.

II) ისინიც სათაყვანებლები არიან, ვინც იცის, რომ რაღაც

უფლებები აქვს, მაგრამ არაფერს ითხოვს.

III) მომწონს ის ხალხიც, ვინც

სხვების უფლებების დასაცავად იბრძვის.

ანგელოზის ანგელოზმა და ეშმაკის ეშმაკმა გვითხრეს, რომ...

„ოჰ, რა ლამაზი გოგოებია, მადამა დორე...“

ოჰ, რა ციმციმა ციცინათელებია,

რა ციმციმა ციცინათელებია...“⁸²

სიცილი გვინდა, როგორც ბალსორანოს

82 სიტყვები იტალიური ხალხური სიმღერიდან და საბავშვო ენის გასატეხიდან.

ბიჭებს⁸³ უნდოდათ... ვალდებულებებს შეგვახ-
სენებთ,
რადგან ფიქრობთ, რომ უფლებებზე, თუ გვენდო-
მება, თავად ვიფიქრებთ...

83 მიანიშნებს სოფელ ბალსორანოში (აბრუცოს რეგიონი) ფაშისტების მიერ 1944 წელს დახვრეტილ ახალგაზრდა პარტიზან ძმებზე, მარიო და ბრუნო დურანტეებზე.

სა.გა.-ს წიგნის ქურდი – ქურდი არ არისო!

სა.გა.ს წიგნის ქურდი – ქურდი არ არისო!

კრის მარკერი, თომას ტოდე, ჰარუნ ფაროკი – პოლიტიკური ესეი ფილმი

»ჩვენი ამოცანაა არა პოლიტიკური ფილმების კეთება, არამედ ფილმების პოლიტიკურად კეთება« (ჟან-ლიუკ გოდარი, 1960-იანი წლები) – ამ საპროგრამო განსაზღვრებამ ცენტრალური ევროპა მიიყვანა დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი ჟანრის, »ესეი ფილმის«, აღორძინებასთან. 1968 წლისათვის ევროპელმა კინემატოგრაფისტებმა კინომედიუმი გამოიყენეს იმდროინდელი საზოგადოების ავტორიტარული მოდელების კრიტიკის ინსტრუმენტად. საქართველოში ფილმის ეს კატეგორია, სამწუხაროდ, თითქმის უცნობია. დღესდღეობით კრიტიკული ესეი ფილმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოში ისეთივე აქტუალური შეიძლება გახდეს, როგორც ეს 1950-1980-იანი წლების დასავლეთ ევროპაში იყო.

თანამედროვე პოლიტიკური ესეი ფილმის სტრატეგია და მექანიზმები განახლდა – 1960-იანი წლების კინოავტორის არგუმენტაცია კომპილაციური მონტაჟით გამოიხატება; დიდაქტიკური თხრობა დღეს ფილმის დრამატურგით შეიცვალა, კინოესეისტის არტიკულაცია კი მონტაჟით; ფილმის პოლიტიკური სათქმელი არა მხოლოდ მისი შინაარსით, არამედ ფილმის ესთეტიკითაც განისაზღვრება.



ჰანს ბელერი – კინომონტაჟის ასპექტები


დასავლეთში ფართოდ გავრცელებული, შესავალი ხასიათის მქონე კინოსამონტაჟო სახელმძღვანელო ტექსტი, სადაც გაანალიზებულია აქტუალური სამონტაჟო მოდელები, ცნებები და რეჟისორთა სპეციფიკური სტილები: ეიზენშტეინი, ბუნუელი, ჰიჩკოკი, გოდარი, ტარკოვსკი, კუბრიკი, ჯარმუში და სხვა.

გამოცემას ახლავს კინოსამონტაჟო ცნებების განმარტებითი ლექსიკონი; კადრის სიდიდეთა მაჩვენებელი და 180 გრადუსის პრინციპის ამსახველი სქემები.



ძიგა ვერტოვი – ადამიანი კინოაპარატით

საბჭოთა ავანგარდისტის, კინოდოკუმენტალისტისა და დოკუმენტური კინოს თეორეტიკოსის, ძიგა ვერტოვის (1896-1954) ტექსტების კრებული »ადამიანი კინოაპარატით« აერთიანებს ვერტოვის მიერ დაარსებული შემოქმედებითი ჯგუფის »კინოკების« მანიფესტს – »ჩვენ. მანიფესტის ვარიანტი« (1922), კინოთეორიულ სტატიებს – »კინოკები. გადატრიალება« (1923), »»კინოთვალიდან« »რადიოთვალამდე« (1929) და სასცენარო ვარიანტს ფილმისათვის »ადამიანი კინოაპარატით« (1929). ვერტოვის ფილმი »ადამიანი კინოაპარატით« თავისი ნოვატორული კონცეფციით დღესაც დოკუმენტური კინოს პრაქტიკულ ნიმუშად რჩება.




ნიგნს დართული აქვს გერმანელი პროფესორის, საბჭოთა კინოავანგარდის სპეციალისტის, ოქსანა ბულგაკოვას ნინასიტყვაობა.

სერგეი ეიზენშტეინი – ინტელექტუალური მონტაჟი

საბჭოთა კინემატოგრაფისტისა და ხელოვნების მკვლევრის სერგეი ეიზენშტეინის კინომონტაჟის თეორიის ფუნდამენტური ტექსტების წინამდებარე კრებული აერთიანებს მის ადრეულ მანიფესტს «ატრაქციონების მონტაჟი» (1923) და ეიზენშტეინის კინოთეორიის «ინტელექტუალური მონტაჟის» ცენტრალურ ნაშრომებს – «კადრს მიღმა» (1929), «მეოთხე განზომილება კინოში» (1929) და «კინოფორმის დრამატურგია» (1929). ეიზენშტეინის რევოლუციური კინოთრილოგია და მისი მთავარი ფილმი «ჯავშნოსანი პოტიომკინი» (1925) არის მცდელობა «ინტელექტუალური მონტაჟის» პრაქტიკული რეალიზაციისა და დღესაც კინორეფლექსიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაგალითად რჩება.

სერგეი ეიზენშტეინი

**ინტელექტუალური
მონტაჟი**




გამოცემის წინასიტყვაობის ავტორია სერგეი ეიზენშტეინის შემოქმედების მკვლევარი, გერმანელი პროფესორი ოქსანა ბულგაკოვა.

**მაქს ჰორკჰაიმერი და თეოდორ ვ. ადორნო –
განმანათლებლობის დიალექტიკა. ფილოსოფი-
ური ფრაგმენტები**

„განმანათლებლობის დიალექტიკა“ (1944/47-1969)
„ფრანკფურტის სკოლის“ კრიტიკული თეორიის ყვე-
ლაზე დიდი გავლენის მქონე ნაშრომია. წიგნში მოცემუ-
ლია თანამედროვე საზოგადოების ძირეული კრიტიკა.
ცივილიზაციის განვითარების ფუნდამენტური ანა-
ლიზის საფუძველზე გამოკვლეულია მითოსიდან გან-
მანათლებლობის წარმოშობა და განმანათლებლობის
მითოსისკენვე შემობრუნება. ნაშრომი წარმოადგენს
თანამედროვე სუბიექტის, მისი „თვითის“, ფორმირების
ფილოსოფიურ თავდაპირველ ისტორიას და განიხილავს
ზნეობრიობისა და უზნეობის თანხვედრას თანამედ-
როვე საზოგადოებაში. ამ წიგნში განხილულია კულ-
ტურის ინდუსტრიის მეშვეობით ადამიანთა მასობრივი
მოტყუების მექანიზმები. ასევე, გაანალიზებულია
განმანათლებლობის საზ-
ღვრები, რომლებსაც, ნა-
ციონალ-სოციალიზმში
განხორციელებული კა-
ტასტროფის შედეგად,
ანტისემიტიზმის ელემ-
ენტები წარმოადგენენ.

პირველ ქართულ თარგ-
მანს თან ახლავს დევი
დუმბაძის ნარკვევი იმის
ახსნის მცდელობით, თუ
რატომ რჩება „განმანათ-
ლებლობის დიალექტიკა“
დღესაც აქტუალური.




ვალტერ ბენიამინი – ხელოვნების ნაწარმოები მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში | ისტორიის ცნების შესახებ

მკითხველს პირველად ეძლევა საშუალება გაეცნოს ქართულ ენაზე ცნობილი ებრაული წარმოშობის გერმანელი ფილოსოფოსისა და კულტურის მკვლევრის, ვალტერ ბენიამინის (1892-1940), ორ უმნიშვნელოვანეს ნაშრომს: »ხელოვნების ნაწარმოები მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში« (1935-1936) და »ისტორიის ცნების შესახებ« (1940).

პირველი წერილი ხელოვნების ნიმუშის »აურის« დაკარგვის ახსნას გვთავაზობს და ამ მოვლენას ტექნიკური რეპროდუცირების პირობებით განსაზღვრავს. ამ ტექსტმა განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა

1960-იან წლებში და ის ფაქტობრივად იქცა მონოდებად ხელოვნება გამოეყენებინათ არაფაშისტური, არამედ სოციალურ-პოლიტიკური ემანსიპაციის მიზნით.


თეზისები »ისტორიის ცნების შესახებ« თავისებურად აჯამებს მსჯელობას ისტორიული მატერიალიზმის დანიშნულებაზე იმდროინდელი არაორთოდოქსული მარქსიზმის ფარგლებში.



რეზო კვესელავა – მოგონებები ქართველ კინემატოგრაფისტაზა

ქართველი კინოდრამატურგის რეზო კვესელავას სამემუარო წერილების კრებულში »მოგონებები ქართველ კინემატოგრაფისტებზე« ავტორი იხსენებს: თენგიზ აბულაძეს, აკაკი ბაქრაძეს, სულიკო ჟღენტს, მიხეილ კვესელავას, მიხეილ კობახიძეს, კოტე მიქაბერიძეს, ალექსანდრე რეხვიაშვილს, სერგო ფარაჯანოვს, ოთარ იოსელიანს, დორე ხინთიბიძესა და სხვებს.

გამოცემაში წარმოდგენელია ქართველ კინემატოგრაფისტთა უნიკალური ფოტოები ავტორის პირადი არქივიდან და კინოსტუდია »ქართული ფილმის« ორასამდე თანამშრომლის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.



გერმანე გოგიტიძე – ქართული კინოს წარსულიდან

პირველი ქართველი კინომწარმე გერმანე გოგიტიძე (1886-1960) 1925 წელს ბერლინში ვიზიტისას კითხვით მიმართავს გერმანელ კინოკლასიკოს ფრიც ლანგს – გადაიღებს თუ არა იგი »ვეფხისტყაოსანს«?

ეს გამოცემა აერთიანებს გოგიტიძის გამოუქვეყნებელი კინომემუარების თარგმანს, კრიტიკულ წერილებს და საარქივო მასალებს 19 ილუსტრაციით.


გამოცემას დართული აქვს გოგიტიძის სრული ბიოგრაფია, რომელიც აღწერს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის აქამდე უცნობ ფაქტებს.



ეს წიგნი არის პირველი მონოგრაფია ქართული კინონარმოების პიონერზე და იგი უფრო ახლოს გვაცნობს ქართული კინოს ისტორიის საწყის ეტაპებს.

ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე პირთა გერმანული ასოციაცია – რჩევები და ხერხები – როგორ ვმართოთ »შეშლილ-ობა«?

»მეგზური« განკუთვნილია ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე ადამიანებისა და მათი ახლობლებისათვის, რომლებიც კრიზისის დროს და მის შემდეგ მხარში უდგანან ამ პიროვნებებს. აქ მოცემული რჩევები საშუალებას გვაძლევს ინდივიდუალურად და შინაურულად მოვეკიდოთ ამ მდგომარეობას; გვეხმარება, შეძლებისდაგვარად ფსიქოტროპული ნაშთების გარეშე, ორგანიზმისადმი ზიანის მიყენების გვერდის ავლით, მოვლენების მართვასა და მყუდროებისა და სტაბილურობის მოპოვებაში.




ტექსტს ახლავს ფსიქიატრ თემურ იოსებაძის ბოლოსიტყვაობა და დამხმარე ორგანიზაციათა საკონტაქტო ინფორმაცია.

აბას ქიაროსთამი – ქარის მხარღამხარ


თანამედროვე ირანელი კინორეჟისორისა და ხელოვნის აბას ქიაროსთამის მინიმალისტური სტილის ლექსების კრებული «ქარის მხარღამხარ».

კრებულში აგრეთვე იხილავთ ავტორის მიერ გადაღებულ ირანის ლანდშაფტის ამსახველ ფოტოებსა და გერმანელი კინომცოდნის ტობიას ერბრეხტის კრიტიკულ ტექსტს ირანულ კინოზე: «ევროპული ნატვრები და ირანული კულტურის ექსპორტი».



აკა მორჩილაძე – კაბდატა ინ ჯორჯია

ცალკე გამოცემის სახით პირველად იბეჭდება თანამედროვე ქართველი მწერლის, აკა მორჩილაძის, ესეისტური ტექსტები: »კაბდატა ინ ჯორჯია« (2008) და »პირადი ენციკლოპედია« (2007).



დევი დუმბაძე – იდეოლოგია და არარეგლამენტირებული გამოცდილება

კრიტიკული თეორიის მიზანია, გაანალიზოს იმის პირობები, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს საზოგადოება საუკეთესოსკენ. ნარსულში კრიტიკული საქმიანობა ხშირად დაიყვანებოდა შრომის გათავისუფლების მოთხოვნაზე. ადორნოს თანახმად, გათავისუფლება უნდა მოიცავდეს შრომისგან გათავისუფლებასაც, რათა დამყარდეს ისეთი პირობები საზოგადოებაში, რომ ყველამ შეძლოს საკუთარი გამოცდილების განვითარება ძალდატანებისა და რეგლამენტების გარეშე. თუ იდეოლოგიამ საგნობრივი ხასიათი მიიღო, მას უპირისპირდება არარეგლამენტირებული გამოცდილების მოთხოვნა, მისთვის ბრძოლა კი ნიშნავს საუკეთესოსთვის ბრძოლას.





სა.გა.-ს ნიშნის ქურდი – ქურდი არ არისო!